



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
აკადემიური საბჭო

დადგენილება №112

30 ნოემბერი, 2017 წ.

ქ. ბათუმი

ბსუ-ს საგამომცემლო საქმიანობის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს საგამომცემლო საქმიანობის მარეგულირებელი თანდართული წესი (დანართი 1).
2. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „სახელმძღვანელოების ცნობისა და აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2009 წლის 8 მაისის N46 დადგენილება.
3. წინამდებარე დადგენილება გასაცნობად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს ფაკულტეტებს, მართვის ორგანოებსა და შესაბამის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს.
4. დადგენილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
5. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,  
რექტორი, ასოც. პროფესორი



მერაბ ხალვაში

**ბსუ-ს საგამომცემლო საქმიანობის მარეგულირებელი წესი  
თავი I**

**ზოგადი დებულებანი**

**მუხლი 1. წესის რეგულირების სფერო**

1. „ბსუ-ს საგამომცემლო საქმიანობის წესი“ ადგენს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში „ბსუ“) საგამომცემლო (მათ შორის მთარგმნელობითი) საქმიანობის განხორციელების პროცესს.

2. ბსუ-ს საგამომცემლო საქმიანობა წარმართება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტების, ბსუ-ს წესდების, წინამდებარე წესის, ბსუ-ს ბიუჯეტის, ბსუ-ს მართვის ორგანოთა შესაბამისი სამართლებრივი აქტებისა და ბსუ-ს საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

3. ბსუ-ს საგამომცემლო საქმიანობა ემსახურება ბსუ-ს საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო-კვლევითი პროცესების ხელშეწყობასა და ხარისხის ამაღლებას.

**4. ბსუ-ს საგამომცემლო საქმიანობა მოიცავს:**

ა) ბსუ-ს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესისათვის საჭირო სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის (სახელმძღვანელო, ლექციების კურსი, დამხმარე სახელმძღვანელო, მონოგრაფია, სამეცნიერო ჟურნალი, ლექსიკონი, ატლასი, ალბომი, ცხრილები და სხვა) გამოსაცემად წარდგენას, განხილვასა და გამოცემას;

ბ) ბსუ-ს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესისათვის საჭირო უცხოური სასწავლო ან/და სამეცნიერო ლიტერატურის (სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო, ლექციების კურსი, სამეცნიერო ლიტერატურა - შემდგომში - „კუბლიკაცია“) ქართულ ენაზე თარგმნასა და გამოცემას;

გ) დაკვეთით (არასაუნივერსიტეტო მიზნებისა და დანიშნულებით) განხორციელებულ, ანაზღაურებად საგამომცემლო საქმიანობას.

5. ბსუ-ს საგამომცემლო მთავარი სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურა გამოიცემა ბსუ-ს გრიფით.

**მუხლი 2. ტერმინთა განმარტება**

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **სახელმძღვანელო** - მეცნიერების კონკრეტული დარგის ცოდნის მწყობრი სისტემის დისციპლინის - ძირითადი სასწავლო წიგნი, დაწერილი მაღალ მეცნიერულ და მეთოდურ დონეზე, სათანადო წესით დამტკიცებული პროგრამის (სილაბუსის) შესაბამისად;

ბ) **ლექციების კურსი** - კონკრეტული დისციპლინის თეორიული ნაწილის ავტორისეული გადმოცემა, დაწერილი მაღალ მეცნიერულ და მეთოდურ დონეზე, სათანადო წესით დამტკიცებული პროგრამის (სილაბუსის) შესაბამისად;

გ) **დამხმარე სახელმძღვანელო** - კონკრეტული დისციპლინის ცალკეული ნაწილის (ნაწილების) გადრმავებული შესწავლისათვის განკუთვნილი სასწავლო წიგნი

(ქრესტომათია, ტექსტები, საკითხავი მასალა, და სხვ) ან თეორიული ცოდნის განმტკიცებისა და პრაქტიკულად გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის განკუთვნილი სასწავლო წიგნი (ამოცანების, მაგალითების, სავარჯიშოების, ტესტების კრებულების, ლაბორატორიული სამუშაოების აღწერილობები);

**დ) სასწავლო ლიტერატურა** - სახელმძღვანელო, ლექციების კურსი, დამხმარე სახელმძღვანელო;

**ე) სამეცნიერო ლიტერატურა** – მონოგრაფია, სამეცნიერო ჟურნალი, შრომები და სამეცნიერო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების და სხვა სამეცნიერო ღონისძიებათა შედეგების ამსახველი მასალები, ლექსიკონი, განმარტებითი და ენციკლოპედიური ლექსიკონი, ატლასი, ალბომი, ცხრილები და სხვა.

**ვ) პუბლიკაცია** - სასწავლო (სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო, ლექციების კურსი) და სამეცნიერო ლიტერატურა;

**ზ) გრიფის მინიჭება** – პუბლიკაციისათვის **ბსუ-ს ლოგოს და წარწერის „ბსუ-ს გამომცემლობა“** მინიჭება.

**თ) საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭო** - ბსუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი ბსუ-ს საგამომცემლო საბჭო, რომელსაც თავმჯდომარეობს რექტორი, ჰყავს თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოს მდივანი და სხვა წევრები.

**ი) ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭო** - ბსუ-ს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ბრძანების საფუძველზე შექმნილი საბჭო, რომელსაც თავმჯდომარეობს ფაკულტეტის დეკანი, ჰყავს თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოს მდივანი და სხვა წევრები;

**კ) დარგობრივი სარედაქციო კოლეგია** - იქმნება ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს მიერ, რომლის თავმჯდომარე არის ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს ერთ-ერთი წევრი. დარგობრივი სარედაქციო კოლეგიის წევრთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5 წევრს.

**ლ) მთარგმნელობითი საქმიანობა** - საგამომცემლო საქმიანობის ერთ-ერთი სახე, რომელიც გულისხმობს უცხოური სასწავლო ან/და სამეცნიერო ლიტერატურის ბსუ-ში ქართულ ენაზე თარგმნასა და გამოცემას.

## თავი II

**ბსუ-ს სასწავლო ან/და სამეცნიერო ლიტერატურის გამოსაცემად წარდგენის, განხილვისა და გამოცემის წესი**

**მუხლი 3. სასწავლო ლიტერატურა (სახელმძღვანელო, ლექციების კურსი და დამხმარე სახელმძღვანელო)**

1. სასწავლო ლიტერატურა უნდა წარმოადგენდეს ცოდნის ძირითად წყაროს კონკრეტულ სასწავლო დისციპლინაში და იძლეოდეს სტუდენტთა მიერ ამ ცოდნის დამოუკიდებლად ათვისების შესაძლებლობას.

2. სასწავლო ლიტერატურის შინაარსი უნდა იყოს გადმოცემული ცოდნის ათვისების თანამედროვე მეთოდისა და სასწავლო კურსის შესაბამისი წინაპირობების გათვალისწინებით.

3. სასწავლო ლიტერატურის მოცულობა უნდა შეეფარებოდეს კრედიტების იმ რაოდენობას, რომელიც მოცემული კურსის შესასწავლად არის განსაზღვრული (შესაძლებელია სახელმძღვანელო აგებული იქნეს ისე, რომ მოიცვას ერთსა და იმავე დისციპლინაში კრედიტების სხვადასხვა რაოდენობისათვის გათვალისწინებული კურსები).

4. სასწავლო ლიტერატურით გათვალისწინებული მასალა უნდა დაიყოს: ნაწილებად, თავებად, პარაგრაფებად (ლექციებად). ძირითადი ტექსტობრივი მასალა და საცნობარო- თანმხლები აპარატი უნდა დალაგდეს შემდეგი თანმიმდევრობით: ა) სარჩევი; ბ) წინასიტყვაობა; გ) მეთოდური რეკომენდაციები; დ) ძირითადი ტექსტი; ე) დასკვნა; ვ) დამატება; ზ) საძიებლები; ლ) ანოტირებული და სათანადოდ კლასიფიცირებული ბიბლიოგრაფია.

5. ავტორმა (ავტორთა კოლექტივმა) სასწავლო ლიტერატურის გამოცემასთან დაკავშირებით ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოში უნდა წარმოადგინოს:

ა) პროექტის აღწერა (აკრედიტირებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან შესაბამისობის დადასტურებით);

ბ) სარჩევი;

გ) შედარებითი ანალიზი ანალოგიურ გამოცემებთან;

დ) მეთოდური მითითებანი, სავარაუდო აუდიო, ვიდეო და სხვა დამატებითი მასალების მითითებით;

ე) ნაშრომის (სასწავლო ლიტერატურა) სრული ვერსია;

ვ) მარკეტინგული შეფასება (ნუსხა დარგების, რომლისთვისაც არის განკუთვნილი; დაინტერესებული სამეცნიერო საზოგადოებების და დაწესებულებების ნუსხა და სხვა);

ზ) არასასურველი რეცენზენტები (არაუმეტეს 5-სა. სახელისა და გვარის მითითებით);

თ) ავტორთა სრული CV;

ი) ინფორმაცია გამოცემის ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ.

6. წარმოდგენილი მასალები გადაეცემა შესაბამის დარგობრივ სარედაქციო კოლეგიას, წინასწარი რეცენზირებისათვის.

7. დარგობრივი სარედაქციო კოლეგია გამოყოფს ორ რეცენზენტს, გარდა წინამდებარე მუხლის მე-5 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირებისა. კოლეგია იხილავს რეცენზიებს ერთი თვის ვადაში.

#### **მუხლი 4. სამეცნიერო ლიტერატურა**

1. დარგობრივ საუნივერსიტეტო შრომებსა და სამეცნიერო ჟურნალებში გამოსაქვეყნებელი სტატიების რეცენზირებისა და რედაქტირების ორგანიზებას ახდენს შესაბამისად, შრომების კრებულის და ჟურნალის სარედაქციო კოლეგიები.

2. მონოგრაფიებისა და სხვა სახის სამეცნიერო ლიტერატურის ავტორებმა საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოში უნდა წარმოადგინონ:

ა) პროექტის აღწერა;

ბ) სარჩევი;

გ) შედარებითი ანალიზი ანალოგიურ, მათ შორის, საზღვარგარეთულ გამოცემებთან;

დ) ერთ-ერთი ძირითადი თავი (შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის და სხვა დამხმარე თავების გარდა);

ე) მარკეტინგული შეფასება (დაინტერესებული სამეცნიერო საზოგადოებების და დაწესებულებებს ნუსხა და სხვა);

ვ) არასასურველი რეცენზენტები (არაუმეტეს 5-სა, სახელისა და გვარის მითითებით);

ზ) ავტორ(ებ)ის სრული CV;

თ) ინფორმაცია გამოცემის ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ.

3. წარმოდგენილი მასალები გადაეცემა **შესაბამის დარგობრივ სარედაქციო კოლეგიას**, (გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა), უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის მიერ სამეცნიერო ლიტერატურის გამოსაცემად წარმოდგენის შემთხვევაში, დარგობრივი სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში უნდა იყოს შესაბამისი მიმართულების სამეცნიერო პერსონალიც.

დარგობრივი სარედაქციო კოლეგია წინასწარი ფარული რეცენზირებისათვის გამოყოფს ორ რეცენზენტს (გარდა წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირებისა).

კოლეგია რეცენზიებს იხილავს ერთი თვის ვადაში.

### **მუხლი 5. რეცენზირება და გადაწყვეტილების მიღება**

1. გამოსაცემად მომზადებული **სასწავლო ლიტერატურის** განხილვის შედეგად, ორი დადებითი რეცენზიის არსებობის შემთხვევაში, დარგობრივი სარედაქციო კოლეგიის მიერ შედგენილი წინასწარი დადებითი დასკვნა გადაეცემა ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს, რომელიც ნაშრომს რეკომენდაციას უწევს უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭოს წინაშე.

2. გამოსაცემად მომზადებული **სამეცნიერო ლიტერატურის** განხილვის შედეგად, ორი დადებითი რეცენზიის არსებობის შემთხვევაში, დარგობრივი სარედაქციო კოლეგიის მიერ შედგენილი წინასწარი დადებითი დასკვნა გადაეცემა უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭოს.

3. განხილვის შედეგად, ერთი უარყოფითი რეცენზიის შემთხვევაში, სარედაქციო კოლეგიის მიერ ხდება პუბლიკაციის დამატებით რეცენზირებაზე გადაცემა (დაუშვებელია იმავე რეცენზენტებისათვის ან ამ წესის მე-3 მუხლით და მე-4 მუხლით გათვალისწინებული არასასურველი რეცენზენტებისათვის შესაფასებლად გადაცემა).

4. დამატებითი რეცენზირების შედეგად, ნაშრომზე ორი დადებითი რეცენზიის არსებობის შემთხვევაში, კოლეგიის მიერ შედგენილი წინასწარი დადებითი დასკვნა გადაეცემა შესაბამის საგამომცემლო საბჭოს, ხოლო ერთი ან ერთზე მეტი უარყოფითი რეცენზიის არსებობის შემთხვევაში შესაბამის საგამომცემლო საბჭოს ეგზავნება სარედაქციო კოლეგიის წინასწარი უარყოფითი დასკვნა.

5. გამოსაქვეყნებლად მომზადებული ნაშრომის ავტორებს უფლება აქვთ გაეცნონ უარყოფითი რეცენზიების შინაარსსა და დადებით რეცენზიებში არსებულ შენიშვნებს (ამავე ფორმით).

6. უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭო უფლებამოსილია შესაბამისი საფუძვლისა და დასაბუთების შემთხვევაში მომზადებული მასალა უკან დააბრუნოს ხელახალი განხილვისთვის და ვალდებულია უზრუნველყოს სასწავლო ლიტერატურის გარე ფარული რეცენზირება, ამ წესით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.

7. უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭო იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას პუბლიკაციის გამოცემის თაობაზე. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში პუბლიკაცია გადაეცემა ბსუ-ს გამომცემლობას, სადაც შეინახება აღწერილი და დალუქული რეცენზირების მასალებიც.

8. ავტორთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ (რომელიც მოიცავს გამოცემის, ბეჭდვისა და ფინანსურ პირობებს) გამომცემლობა ნაშრომს ანიჭებს გამოცემის საერთაშორისო ნომერს, საგამომცემლო მარკას და გამოსცემს.

9. ნაშრომისათვის ბსუ-ში მეცნიერების კონკრეტული დარგის ცოდნის მწყობრი

სისტემის - დისციპლინის (შესაბამისი სასწავლო კურსის) სწავლების მიზნით მინიჭებული (აღიარებული) სახელმძღვანელოს სტატუსი ძალაშია საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილების მიღებიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სასწავლო წლის განმავლობაში. სასწავლო დისციპლინის სილაბუსში 30 %-ზე მეტი შინაარსობრივი ცვლილების შემთხვევაში ახალი, გადამუშავებული ნაშრომის სახელმძღვანელოდ აღიარებისათვის საჭიროა ამ წესით გათვალისწინებული პროცედურების გავლა. ბსუ-ს სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი „სახელმძღვანელო“, სახელმძღვანელოს სტატუსის მინიჭებიდან 5 სასწავლო წლის გავლის შემდეგ, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის/სასწავლო კურსის პერსონალის ინიციატივით, უნდა გადაიხედოს დარგობრივი სარედაქციო კოლეგიის მიერ, რათა დადგინდეს ნაშრომი კვლავ აკმაყოფილებს თუ არა სახელმძღვანელოდ აღიარებისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებს. კოლეგიის დასკვნა წარედგინება განსახილველად ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს, ხოლო შემდეგში დასამტკიცებლად ეგზავნება საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს.

### **მუხლი 6. პუბლიკაციის გამოცემის ინიციატივა**

1. ბსუ-ს სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის დასაბეჭდად წარდგენის ინიციატივის მქონე პირები არიან:

- ა) ბსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლები;
- ბ) ბსუ-ს ადმინისტრაციული თანამდებობის პირები (რომლებიც უშუალოდ წარმართავენ შესაბამის სასწავლო კურსს) ან შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები (პროგრამის საჭიროებიდან გამომდინარე);
- გ) ბსუ-ში მოწვეული სპეციალისტები (რომელთაც აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია, სასწავლო პროცესის წარმართვის პრაქტიკული გამოცდილება და ზედიზედ, არანაკლებ 3 სასწავლო წლის განმავლობაში წარმართავენ სასწავლო საგანს/დისციპლინას);
- დ) ბიბლიოთეკის დირექტორი (ბიბლიოთეკის საჭიროებიდან გამომდინარე);
- ე) დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულები (ამ ერთეულების სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი ლიტერატურის თაობაზე).

2. უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები, დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულები, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ამ სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის საჭიროებიდან გამომდინარე და ბსუ-ს საგამომცემლობა, გარე დაკვეთების შემთხვევებში, პუბლიკაციის გამოცემის ინიციატივით უშუალოდ მიმართავენ უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭოს. ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება წინამდებარე წესით დადგენილი პროცედურის გავლის შემდეგ.

## **თავი III**

### **უცხოური სასწავლო ან/და სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნა და გამოცემა**

#### **მუხლი 7. მთარგმნელობითი საქმიანობის ინიცირება და გადაწყვეტილების მიღება**

1. ბსუ-ს სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში გამოსაყენებელი უცხოური სასწავლო ან/და სამეცნიერო ლიტერატურის (შემდეგში - „პუბლიკაცია“) ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა ბსუ-ში ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე წესის საფუძველზე.

2. პუბლიკაციის თარგმნა უნდა ემსახურობდეს საგანმანათლებლო ან/და

სამეცნიერო-კვლევითი პროცესის ხელშეწყობას და განათლების ხარისხის ამაღლებას (მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებიდან გამომდინარე უნდა დასტურდებოდეს საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო-კვლევითი პროცესისათვის კონკრეტული პუბლიკაციის თარგმნის აუცილებლობა).

3. პუბლიკაციის თარგმნის საჭიროების დასაბუთებული ინიციატივით, ამ წესის მე-6 მუხლით განსაზღვრული პირები მიმართავენ შესაბამისი ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს, ხოლო უშუალოდ ბსუ-ს საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს - შესაბამისი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭო.

4. დასაბუთებული ინიციატივა უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) სათარგმნი პუბლიკაციის დასახელება, მოკლე აღწერა, მოცულობა, დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან შესაბამისობის დადასტურებით;

ბ) სარჩევი;

გ) შედარებითი ანალიზი ანალოგიურ გამოცემებთან;

დ) მეთოდური მითითებანი, სავარაუდო აუდიო, ვიდეო და სხვა დამატებითი მასალების მითითებით;

ე) მარკეტინგული შეფასება (ნუსხა დარგების, რომელთათვის არის განკუთვნილი; დაინტერესებული სამეცნიერო საზოგადოებების და დაწესებულებების ნუსხა და სხვა);

ვ) ავტორთა CV.

ზ) პუბლიკაციის ენა, რომლიდანაც უნდა ითარგმნოს იგი და ითარგმნება თუ არა იგი ორიგინალის ენიდან;

თ) იმ გამომცემლობის სრული სახელწოდება და ზუსტი რეკვიზიტები, რომლის გამოცემული ეგზემპლარიდანაც უნდა მოხდეს თარგმნის განხორციელება;

ი) თარგმნისა და გამოცემის უფლების მოპოვების შესაძლებლობის დამადასტურებელი მტკიცებულებები;

კ) ინფორმაცია თარგმნისა და გამოცემის ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი ინიციატივა განიხილება შესაბამისი საგამომცემლო საბჭოს სხდომაზე.

6. საბოლოოდ, უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნისა და გამოცემის თაობაზე წარდგინების/ინიციატივის დაკმაყოფილების ან წარდგინების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე. დადებითი გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს წარდგენილი პუბლიკაციის თარგმნისა და გამოცემის მიზანშეწონილობის (შესაძლებლობისა) და ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ დასაბუთებას. უარყოფითი გადაწყვეტილება ასევე უნდა იყოს დასაბუთებული.

## **მუხლი 8. თარგმნის პროცესის ორგანიზება**

1. პუბლიკაციის თარგმნის შესახებ უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭოს დადებითი გადაწყვეტილება გადაეცემა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, რომლის სტრუქტურული ერთეულებისა და შესაბამისი ფაკულტეტის კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს თარგმნისა და გამოცემისათვის აუცილებელი ღონისძიებების მხარდაჭერა, მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტში



დადგენილი წესის შესაბამისად, ბსუ-ს ბიუჯეტისა და თარგმნის ინიციატივის მქონე პირის მიერ შემოთავაზებული დაფინანსების (არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებით.

2. მთარგმნელობითი საქმიანობის ორგანიზებამდე ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის უფლება მოპოვებული უნდა იქნეს იმ სუბიექტისგან, რომელიც სარგებლობს კონკრეტულ პუბლიკაციაზე საავტორო უფლებით და ამ უფლების მესამე პირზე გადაცემის უფლებით.

3. თარგმნის პროცესის ორგანიზება ხორციელდება თარგმნის ინიციატორი ბსუ-ს ფაკულტეტის ან/და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მიერ (შესაბამისი კომპეტენციის პირთა მოძიება და მათთან სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე თარგმნის პროცესის ორგანიზება).

4. თარგმნის პროცესის დასრულების შემდეგ უნივერსიტეტი უფლებამოსილია შეამოწმოს ნათარგმნი მასალის ხარისხი და დაადგინოს მისი შესაბამისობა (ვარგისიანობა). აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების გადაწყვეტილებას იღებს საგამომცემლო საბჭო.

5. თარგმნილი პუბლიკაციის ქართულ ენაზე გამოცემის თაობაზე უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილების (ამ უფლების გამცემ სუბიექტთან წერილობით შეთანხმებული პირობებით) და უფლებამოსილი სუბიექტის მიერ ნათარგმნი მასალის ხარისხის/შესაბამისობის (ვარგისიანობის) დამადასტურებელი წერილობითი დასკვნის საფუძველზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გამოსცემს სამართლებრივ აქტს ნათარგმნი პუბლიკაციის ბსუ-ს გამომცემლობის მიერ გამოცემის შესახებ.

6. პუბლიკაცია გადაეცემა ბსუ-ს გამომცემლობას, რომელიც ანიჭებს ანიჭებს გამოცემის საერთაშორისო ნომერს, საგამომცემლო მარკას და გამოსცემს.

7. მასალები, რომლების საფუძველზეც უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭოში განხორციელდა გადაწყვეტილების მიღება, ინახება ბსუ-ს გამომცემლობაში და დადგენილი წესის შესაბამისად გადაეცემა ბსუ-ს არქივს.

## თავი IV

### საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსება და გამოცემების განაწილება

#### მუხლი 9. საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსება

1. საგამომცემლო საქმიანობა (მათ შორის, მთარგმნელობითი) ბსუ-ში ხორციელდება ბსუ-ს ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსის და კერძო დაკვეთების (შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების) შედეგად მიღებული შემოსავლების ფარგლებში.

2. ბსუ-ს სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურა შეიძლება გამოიცეს ავტორის (ავტორების) ხარჯზე სრულად ან ნაწილობრივ (ბსუ-სთან თანადაფინანსებით). გამოცემის პირობები თანხმდება შესაბამისი ხელშეკრულებით.

3. ბსუ-ს საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს მიერ „სახელმძღვანელოდ“ მიჩნეული (აღიარებული) ნაშრომის ბსუ-ს გამომცემლობის მიერ გამოცემა (თითოეულის ტირაჟი - 100 ეგზემპლარი), როგორც წესი, ხორციელდება ერთობლივად, ავტორისა და ბსუ-ს დაფინანსებით (50/50). ნაშრომის სახელმძღვანელოდ აღიარებიდან 5 წლის



განმავლობაში დამატებითი ტირაჟით გამოცემის საჭიროების შესახებ შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე გამოიცემა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება, რომელიც აღსასრულებლად გადაეცემა ბსუ-ს გამომცემლობას.

4. პუბლიკაციის ბსუ-ს დაფინანსებით (მათ შორის ავტორთან თანადაფინანსებით) გამოცემის შესახებ ბსუ-ს საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე **ადმინისტრაციის ხელმძღვანელი** ბსუ-ს ბიუჯეტში ცვლილების შეტანის წარდგინებით მიმართავს ბსუ-ს წარმომადგენლობით საბჭოს (თუკი შესაბამისი გამოცემის დაფინანსება არ არის გათვალისწინებული ბსუ-ს ბიუჯეტით).

### **მუხლი 10. გამომცემული ნაშრომების განაწილება**

1. ბსუ-ს გამომცემლობაში გამოცემული ნებისმიერი ნაშრომის 5 ეგზემპლარი რჩება ბსუ-ს გამომცემლობაში (ISBN-ის და ISSN-ის ცენტრში გასაგზავნად -3 ეგზემპლარი და საგამომცემლო ნიმუშად - 2 ეგზემპლარი, ხოლო 1 ეგზემპლარი გადაეცემა - აკაკი წერეთლის სახელობის ქ.ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას.

2. ბსუ-ს და ავტორის **თანადაფინანსებით** გამოცემული ნაშრომებიდან გადაეცემა (100 ეგზემპლარის შემთხვევაში): 50 ეგზემპლარი - ავტორს, ხოლო დარჩენილი ეგზემპლარი - ბსუ-ს ბიბლიოთეკას და ბსუ-ს გამომცემლობას (წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით განაწილებისათვის).

3. **თვითდაფინანსებით გამოცემის** ან იმ შემთხვევაში, როცა ბსუ-ში ხორციელდება მხოლოდ საგამომცემლო მომსახურება, ხოლო ნაშრომი იბეჭდება სხვაგან, ნაშრომის **10 ეგზემპლარი უნდა გადაეცეს ბსუ-ს** (4 ეგზემპლარი - ბსუ-ს ბიბლიოთეკისათვის და ბსუ-ს გამომცემლობას - წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით განაწილებისათვის).

4. **ბსუ-ს სრული დაფინანსებით** გამოცემის შემთხვევაში ნაშრომის **10 ეგზემპლარი გადაეცემა ავტორს**, ხოლო დარჩენილი ეგზემპლარი - ბსუ-ს ბიბლიოთეკას და ბსუ-ს გამომცემლობას (წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით განაწილებისათვის).

5. გამომცემული ნაშრომების განაწილების სხვა შემთხვევები დარეგულირდეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

6. ბსუ-ს გამომცემლობა ამ მუხლის მიზნებისათვის ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) ბსუ-ში გამოცემული ნაშრომის 3 ეგზემპლარისა და მათი ელექტრონული ვერსიების (ჩაწერილი CD დისკზე, PDF ფორმატში) ISBN და ISSN-ის ცენტრისათვის გაგზავნის ორგანიზება და შესაბამისი სამსახურებრივი ბარათის ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის წარდგენა;

ბ) ბსუ-ში გამოცემული ნაშრომების ამ მუხლით დადგენილი წესით განაწილების მიზნით შესაბამისი სამსახურებრივი ბარათის ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის წარდგენა და ბსუ-ს ბალანსზე აღრიცხვის შემდეგ მათი განაწილება;

გ) ბსუ-ში გამოცემული ნაშრომების განაწილების აღრიცხვის ჟურნალის წარმოება (მიმღების ხელმოწერის დადასტურებით)

### **მუხლი 11. საგამომცემლო საქმიანობა კერძო დაკვეთების საფუძველზე**

1. დაკვეთით (არასაუნივერსიტეტო მიზნებისა და დანიშნულებით) განხორციელებული საგამომცემლო საქმიანობა წარიმართება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების, ასევე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტის შესაბამისად.

2. გარეშე პირთა (არასაუნივერსიტეტო) ნაშრომების ბსუ-ს გამომცემლობაში გამოცემის საკითხს უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭო არ განიხილავს. საგამომცემლო საქმიანობის დაწყების საფუძველია ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახელზე დამკვეთის მიერ წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულება და ბსუ-ს ანგარიშზე შესაბამისი თანხის ჩარიცხვა.

3. დაკვეთის შედეგად გამოცემული ნაშრომებიდან 5 ეგზემპლარი რჩება ბსუ-ს გამომცემლობაში (ISBN-ის და ISSN-ის ცენტრში გასაგზავნად -3 ეგზემპლარი და საგამომცემლო ნიმუშად - 1 ეგზემპლარი, ხოლო 1 ეგზემპლარი გადაეცემა - აკაკი წერეთლის სახელობის ქ.ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას).

## **მუხლი 12. საგამომცემლო მომსახურების საფასური**

1. საგამომცემლო მომსახურების საფასური და კონკრეტული გამოცემის ხარჯთაღრიცხვა მტკიცდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შესაძლებელია დადგინდეს რეცენზირებისათვის (მათ შორის გარე), ასევე კერძო დაკვეთებისათვის შესაბამისი პერსონალის შრომის ანაზღაურება (დანამატი).

## **თავი V**

### **საგამომცემლო საბჭოები, დარგობრივი სარედაქციო კოლეგია და მათი საქმისწარმოება**

#### **მუხლი 13. საგამომცემლო საბჭოები და დარგობრივი სარედაქციო კოლეგია**

1. საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭო იქმნება ბსუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე, რომელსაც თავმჯდომარეობს რექტორი, ჰყავს თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოს მდივანი და სხვა წევრები (ბსუ-ს პერსონალის წარმომადგენლები).

2. ბსუ-ს გამომცემლობის დირექტორი იმავდროულად არის საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს მდივანი.

3. ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭო იქმნება ბსუ-ს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ბრძანების საფუძველზე. საბჭოს თავმჯდომარეობს ფაკულტეტის დეკანი, ჰყავს თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოს მდივანი და სხვა წევრები.

4. დარგობრივი სარედაქციო კოლეგია იქმნება ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს მიერ, რომლის თავმჯდომარე არის ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს ერთ-ერთი წევრი. დარგობრივი სარედაქციო კოლეგიის წევრთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5 წევრს.

5. ბსუ-ს საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭო, ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭო და დარგობრივი სარედაქციო კოლეგია უფლებამოსილებას ახორციელებენ

საქართველოს კანონმდებლობის, წინამდებარე წესისა და ბსუ-ს სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

**მუხლი 14. საგამომცემლო საბჭოების და დარგობრივი სარედაქციო კოლეგიის საქმისწარმოება**

1. საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს მდივანი პასუხისმგებელია ამ საბჭოს საქმისწარმოებაზე. იგი ბსუ-ს გამომცემლობის პერსონალის დახმარებით უზრუნველყოფს საბჭოს სხდომის დღის წესრიგის შედგენას, სხდომაზე წევრთა მოწვევას, უშუალოდ აწარმოებს საბჭოს სხდომის ოქმს და ახორციელებს საბჭოს საქმიანობისათვის საჭირო სხვა ქმედებებს.

2. ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით განისაზღვრება ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს, ასევე დარგობრივი სარედაქციო კოლეგიების საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირები.

3. ამ მუხლში აღნიშნულის საქმისწარმოების მასალები ინახება წინამდებარე წესისა და ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციის შესაბამისად.

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამომცემლო საქმიანობის მარეგულირებელი წესი**

**თავი I. ზოგადი დებულებანი**

**მუხლი 1.** წესის რეგულირების სფერო

**მუხლი 2.** ტერმინთა განმარტება

**თავი II. ბსუ-ს სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის გამოსაცემად წარდგენა, განხილვა და გამოცემა**

**მუხლი 3.** სასწავლო ლიტერატურა (სახელმძღვანელო, ლექციების კურსი და დამხმარე სახელმძღვანელო)

**მუხლი 4.** სამეცნიერო ლიტერატურა

**მუხლი 5.** რეცენზირება და გადაწყვეტილების მიღება

**მუხლი 6.** პუბლიკაციის გამოცემის ინიციატივა

**თავი III. უცხოური სასწავლო ან/და სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნისათვის წარდგენა, თარგმნა და გამოცემა**

**მუხლი 7.** მთარგმნელობითი საქმიანობის ინიცირება და გადაწყვეტილების მიღება

**მუხლი 8.** თარგმნის პროცესის ორგანიზება

**თავი IV. საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსება და გამოცემების განაწილება**

**მუხლი 9.** საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსება

**მუხლი 10.** გამოცემული ნაშრომების განაწილება

**მუხლი 11.** საგამომცემლო საქმიანობა კერძო დაკვეთების საფუძველზე

**მუხლი 12.** საგამომცემლო მომსახურების საფასური

**თავი V. საგამომცემლო საბჭოები, დარგობრივი სარედაქციო კოლეგია და მათი საქმისწარმოება**

**მუხლი 13.** საგამომცემლო საბჭოები და დარგობრივი სარედაქციო კოლეგია

**მუხლი 14.** საგამომცემლო საბჭოების და დარგობრივი სარედაქციო კოლეგიის საქმისწარმოება.

